I ბილეთი

1. გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლები მითითებულია:

ა) მთავრობის დადგენილებებში

ბ) პრეზიდენტის ბრძანებულებებში

გ) სამოქალაქო კოდექსში

დ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

2. შეიძლება არაუფლებამოსილი პირის მიერ საქმის განკარგვისას გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს?

ა) გარიგება ნამდვილია ყოველგვარი პირობების გარეშე

ბ) დიახ, გარიგება ნამდვილია, თუ მას უფლებამოსილი პირი მოიწონებს

გ) არა, ამ შემთხვევაში გარიგება ნაწილობრივ ბათილია

დ) არა, ამ შემთხვევაში გარიგება ბათილია

3. პირდაპირია წარმომადგენლობა, როცა

ა) წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი სახელით და იურიდიული შედეგები ჯერ მის მიმართ დგება, შემდეგ წარმოდგენილი პირის მიმართაც

ბ) წარმომადგენელი მოქმედებს წარმოდგენილი პირისთვის, მაგრამ საკუთარი სახელით

გ) წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი ინტერესებისთვის და სახელით

დ) წარმომადგენელი მოქმედებს წარმოდგენილი პირისთვის და მისი სახელით, ხოლო იურიდიული შედეგები დგება უშუალოდ წარმოდგენილი პირის მიმართ

4. გარიგებები იდება:

ა) მხოლოდ სანოტარო ფორმით

ბ) მხოლოდ უბრალო წერილობითი ფორმით

გ) მხოლოდ ზეპირად, მაგრამ ორი მოწმის თანდასწრებით

დ) ზეპირად, წერილობითი ფორმით და ნების დუმილის გამოყენებით

5. გარიგება ჩაითვლება გადადების პირობით დადებულად, თუ მხარეებმა დაადგინეს:

ა) უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით , რომლის შესახებ ცნობილი არ არის დადგება იგი თუ არა

ბ) უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა და შეწყვეტა , რაც განსაზღვრული პირობის დადგომაზეა დამოკიდებული

გ) უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა განსაზღვრული პირობის დადგომასთან დაკავშირებით

დ) უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტა, რაც დამოკიდებულია განსაზღვრული პირობების დადგომაზე

6. გარიგება იურიდიული პირებისა, ურთიერთშორის და მოქალაქეებთან უნდა დაიდოს აუცილებლად:

ა) ზეპირად

ბ) დუმილით

გ) უბრალოდ წერილობითი ფორმით

დ) ნებისმიერი ფორმით

7. გარიგება დადებული იმ განზრახვის გარეშე, რომ შესაბამისი სამართლებრივი შედეგები დადგეს, იწოდება:

ა) მოჩვენებითად

ბ) თვალთმაქცურად

გ) ფიქტიურად

დ) კაბალურად

8. გარიგება დადებული სხვა გარიგების დასაფარავად იწოდება:

ა) თვალთმაქცურ გარიგებად

ბ) საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ მიმართულ გარიგებად

გ) ზნეობის საწინააღმდეგოდ მიმართულ გარიგებად

დ) მოჩვენებით გარიგებად

9. გარიგება დადებული იურიდიული პირის მიერ მისი საქმიანობის მიზნის საწინააღმდეგოდ შეიძლება ბათილად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარემ:

ა) იცოდა გარიგების უკანონობის შესახებ

ბ) არ იცოდა გარიგების უკანონობის შესახებ

გ) არ შეიძლება სცოდნოდა გარიგების უკანონობის შესახებ

დ) თავს იჭერდა ისე, რომ გარიგების უკანონობის შესახებ არ იცოდა

10. როგორია ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგება

ა) უცილოდ ბათილი

ბ) ნაწილობრივ ბათილი

გ) მერყევად ბათილი

დ) ფარდობითად ბათილი

11. მოძრავ ნივთებს განეკუთვნება:

ა) ფული,ფასიანი ქაღალდი

ბ) საზღვაო და სამდინარო ხომალდი

გ) საჰაერო ხომალდი

დ) კოსმოსური ობიექტი

12. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი ხასიათდება ნიშნებით:

ა) რომლებიც საშუალებას იძლევა განსხვავდეს იგი სხვა ნივთებისგან

ბ) მასით

გ) რიცხვით

დ) ზომით

13. გვაროვნული ნივთი ხასიათდება ნიშნებით:

ა)

ბ) რომლებიც შესაძლებლობას იძლევა განსხვავდეს ნივთი სხვა ნივთებისაგან

გ) რომლებიც საერთოა მოცემული გვარის ყველა ნივთებისთვის

დ) ყველა იმ ნიშნით, რომლებიც მითითებულია ა) და ბ) პუნქტებით

14. მოხმარებად ნივთებს განეკუთვნება ნივთები, რომლებიც

ა) ქრება ექსპლუატაციის პროცესში თანდათან

ბ) შეიძლება გამოყენებული იქნეს დიდი ხნის განმავლობაში არსებითი სახეცვლილებების გარეშე

გ) ერთჯერადი გამოყენების შემდეგ მთლიანად კარგავს თავის ფორმას

დ) ხასიათდება ა) და ბ) პუნქტებში დახასიათებული ნიშნებით

15. არამოხმარებად ნივთებს განეკუთვნება ნივთები, რომლებიც:

ა) შეიძლება გამოყენებული იქნეს დიდი ხნის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გარეშე

ბ) ერთჯერადი გამოყენების შედეგად გადადის ერთი თვისებიდან მეორეში (მაგ.,საღებავი)

გ) ერთჯერადი გამოყენების შედეგად მთლიანად ქრება (მაგ., საკვები პროდუქტი)

დ) ერთჯერადი გამოყენების შედეგად გადადის ნივთიერების სხვა სახეობაში (მაგ., ნავთობი ბენზინში)

16. გაუყოფელ ნივთებად ითვლება ნივთები, რომლებიც გაყოფის შედეგად:

ა) არ იცვლის თავის თავდაპირველ სამეურნეო დანიშნულებას

ბ) არ იცვლის თავის თავდაპირველ საწარმოო დანიშნულებას (მაგ., სამშენებლო მასალა)

გ) კარგავს თავის თავდაპირველ დანიშნულებას

დ) ა) და ბ) პუნქტებში მითითებული თვისებების თანახმად

17. გაყოფადია ნივთი, რომელიც:

ა) გაყოფის შედეგად არ იცვლის თავის თავდაპირველ დანიშნულებას

ბ) გაყოფის შედეგად კარგავს თავის თავდაპირველ დანიშნულებას

გ) ფიზიკურად სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ ამ ტიპის ნივთები ერთმანეთთან არის საერთო სამეურნეო დანიშნულებით დაკავშირებული (მაგ., ავეჯის ..)

დ) ფიზიკურად სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ განსაზღვრულია მოქალაქეთა მეცნიერულიდა შემდეგი განვითარებისთვის (მაგ., სპეციალური ბიბლიოთეკა)

18. რთული ნივთები გაუყოფად ნივთებს მიეკუთვნება თუ:

ა) გამოიყენება საერთო დანიშნულებით (მაგ., ჩაის სერვიზი)

ბ) ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო სამომხმარებლო დანიშნულებით (საკვები პროდუქტები)

გ) ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო საწარმოო დანიშნულებით (სამშენებლო აგურები)

დ) გამოყენების შედეგად შეიძლება გადავიდეს ნივთების სხვა სახეობაში (ნავთობი ბენზინში)

19. ფული განეკუთვნება

ა) ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთების კატეგორიას

ბ) გვარეობით, შეცვლად და გაყოფად ნივთებს

გ) გვარეობით და რთულ ნივთებს

დ) არამოხმარებად ნივთებს

20. უცხოური ვალუტის გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე ანგარიშსწორების საწარმოებლად შესაძლებელია მხოლოდ:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში

ბ) ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში

გ) სავალუტო სისტემის რეგულირების შესახებ სპეციალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში

დ) სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში

კაზუსი I

15 წლის რამინი არდადეგებზე დეიდასთან ბათუმში გაემგზავრა. დეიდამ მას აჩუქა სკუტერი (წყლის ველოსიპედი). ორი თვის შემდეგ, როცა სახლში გამოსამგზავრებლად ემზადებოდა, დეიდას სთხოვა ნება დაერთო ნაჩუქარი გაეცვალა წყალქვეშა საცურაო და სანადირო მოწყობილობებზე. მიიღო რა დეიდას თანხმობა, რამინმა გაცვლა მოახდინა.

როცა რამინის მშობლებმა რამინის გარიგების შესახებ გაიგეს, შვილს მოსთხოვეს სანადირო და საცურაო მოწყობილობების ჩაბარება და სკუტერის უკან დაბრუნება. რამინმა უარი განაცხადა. უარი დაასაბუთა იმით, რომ ნაჩუქარ ნივთებს ვისაც მისცემდა მისი საქმე იყო, მითუმეტეს, რომ სკუტერისათვის მას ფული დაუმატეს და დახარჯა კიდეც. განსაზღვრეთ რამდენად კანონიერია მშობლების მოთხოვნა და ამოხსენით კაზუსი. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1) კანონიერია თუ არა გარიგება დეიდასა და რამინს შორის?

იმისათვის, რომ გავარკვიოთ ნამდვილია თუ არა დადებული გარიგება დეიდასა და რამინს შორის, საჭიროა განვიხილოთ პირველ რიგში არის თუ არა ურთიერთობის ორივე მხარე ქმედუნარიანი საკუთარი ინიციატივით დადოს გარიგება ყოველგვარი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაწვდის სსკ-ის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც „ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.“ ჩვენს შემთხვევაში დეიდა სრულწლოვანია, შესაბამისად ის ქმედუნარიანია, ანუ აქვს უფლება

თავისი ნებით განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. რაც შეეხება მეორე სუბიექს, ანუ რამინს, კაზუსიდან ვიცით, რომ ის არის 15 წლის. როგორც მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილიდან გავარკვიეთ, რამინი არასრულწლოვნობის გამო არ განიხილება ქმედუნარიანად, შესაბამისად ის ვერ განახორციელებს ნებისმიერ სამოქალაქო უფლებასა და მოვალეობას საკუთარი ნებიდან გამომდინარე. იმისათვის რომ გავარკვიოთ როგორი ტიპის ქმედუნარიანად განიხილება რამინი, უნდა მოვიშველიოთ სსკ-ის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც გვეუბნება, რომ „არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა." ჩვენს კაზუსში რამინი 15 წლისაა, შესაბამისად ის სსკ-ის მიხედვით შეზღუდულ ქმედუნარიანად განიხილება. რაც შეეხება რამინის უფლებამოსილებას, თუ როდის და როგორ ახორციელებს საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს და როდის მონაწილეობს გარიგებაში ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის სსკ-ის მე-15 მუხლი და 63-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. „შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს." მოცემულ კაზუსში, რამინმა დეიდისგან მიიღო საჩუქრად სკუტერი, შესაბამისად მისი ქონებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდა, ანუ არასრულწლოვანმა მიიღო სარგებელი და არ წარმოეშვა ვალდებულებები. ვიცით, რომ სსკ-ი არასრულწლოვანს ამის უფლებას ანიჭებს და შესაბამისად, რამინსა და დეიდას შორის დადებული გარიგება ნამდვილია/კანონიერია.

2) ნამდვილია თუ არა გაცვლის გარიგება?

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რამინი შეზღუდული ქმედუნარიანია და სსკ-ის მე-15 მუხლის და 63-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მას სჭირდება ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. იმისათვის რომ გავარკვიოთ, ნამდვილია თუ არა რამინის მიერ დადებული გაცვლის გარიგება, საჭიროა პირველ რიგში გავარკვიოთ თუ ვინ ითვლება არასრულწლოვნის შემთხვევაში კანონიერ წარმომადგენლად. კანონიერ წარმომადგენლებად შეზღუდული ქმედუნარიანი პირის შემთხვევაში ითვლებიან მშობლები, მეურვეები და მზრუნველები. დეიდა ამ შემთხვევაში რამინისთვის ზემოთ ჩამოთვლილთაგან არცერთს არ წარმოადგენდა. შესაბამისად ის ფაქტი, რომ რამინიმ დეიდისგან მიიღო თანხმობა ნივთის გაცვლასთან დაკავშირებით არაა საკმარისი გაცვლითი გარიგების ნამდვილობისთვის, რადგან დეიდა არ განიხილება კანონიერ წარმომადგენლად. სსკ-ის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი „ხელშეკრულება, რომელიც დადებულია

არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან - ამ წარმომადგენლების თანხმობით - მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით." რამინი მუხლში ჩამოთვლილ არცერთ ელემენტს არ აკმაყოფილებს იმისათვის, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს. შესაბამისად, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რამინის მიერ დადებული გაცვლის გარიგება არ არის ნამდვილი, რადგან ის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე იქნა დადებული არასრულწლოვნის მიერ.

3) არსებობს თუ არა რამინის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლები?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამინმა, რომელიც არასრულწლოვანია, შესაბამისად, შეზღუდული ქმედუნარიანი, დადო გაცვლითი გარიგება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. იმისათვის, რომ გავარკვიოთ არსებობს თუ არა რამინის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლები, უნდა გავარკვიოთ, თუ რა შემთხვევაში ითვლება სსკ-ის მიხედვით არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგება ბათილად. სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით „ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა." ბათილობის შესახებ ცნობებს გვაწვდის სსკ-ის 66-ე მუხლიც „ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. ბათილია ასეთი გარიგება მაშინაც, როცა არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც გარიგების მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა მასზე უარი. ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ." სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი „ბათილია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა." ნების გამოვლენა კიდევ, გარიგების დადების წინაპირობაა. მოცემული მუხლებიდან გამომდინარე, რამინის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის საკმარისი საფუძველი არსებობს.

4) გაითვალისწინეთ მოცემული გარიგების ბათილად აღიარების იურიდიული შედეგები

იმ შემთხვევაში, თუ გარიგება ბათილად იქნება აღიარებული, მას არ მოჰყვება შედეგად დასახული მიზანი, იმის გამო, რომ მოქმედი სამართალი განხორციელებულ ქმედობას სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს. შესაბამისად ნარჩუნდება არსებული სტატუს ქვო. ხოლო, თუ მხარეებმა დადებული (ბათილი) ხელშეკრულებიდან გამომდინარე რაიმე მოქმედებები განახორციელეს, რითაც გარიგებამდე არსებული მდგომარეობა შეიცვალა, ბათილად გარიგების ცნობისთანავე უნდა აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა. ჩვენი კაზუსის შემთხვევაში რამინიმ უნდა დაუბრუნოს პიროვნება X-ს მისი საცურაო და სანადირო მოწყობილობა და ფული, ხოლო საპასუხოდ უნდა მიიღოს პიროვნება X-ისგან სკუტერი.

II ბილეთი

1. როგორია ქმედუუნაროს მიერ დადებული გარიგება

ა) უცილოდ ბათილი

ბ) ნაწილობრივ ბათილი

გ) მერყევად ბათილი

დ) ფარდობითად ბათილი

2. იურიდიული პირის ქონება არსებობს:

ა) მისი დამფუძნებლის ქონებისგან დამოუკიდებლად

ბ) მისი მონაწილეების ქონებისგან დამოუკიდებლად

გ) სახელმწიფო ქონებისგან დამოუკიდებლად

დ) სწორია ა) და ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პასუხები

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირების ცნება მოცემულია:

ა) სამოქალაქო კოდექსში

ბ) სპეციალურ კანონში

გ) კონსტიტუციაში

დ) ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში

4. გარიგება იძულებით დადებულად ითვლება, თუ ნების გამომვლენ პირზე ზემოქმედება ხორციელდება:

ა) ფიზიკურად ან მუქარით

ბ) სასამართლოში მიმართვის მუქარით

გ) მართლსაწინააღმდეგო მიზნით და მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით

დ) ა) და გ) პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში

5. იძულებით დადებულია გარიგება, რომელიც მომდინარეობს

ა) გარიგების მონაწილისგან

ბ) ნებისმიერი პირისგან

გ) ნებისმიერი დაინტერესებული პირისგან

6. ფარდობითად ბათილია გარიგებები, რომლებიც:

ა) მთლიანობაში ნამდვილია, მხოლოდ მისი ესა თუ ის ნაწილია ბათილი

ბ) მთლიანობაში ბათილია, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს მას

გ) მთლიანობაში ნამდვილია, მაგრამ ბათილია ამა თუ იმ პირის ან პირთა წრის მიმართ

დ) დადების მომენტში ნამდვილია, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად

7. შეზღუდული ქმედუნარიანი პირის ნების გამოვლენა ნამდვილია:

ა) კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში

ბ) თუ არსებობს მისი მატერიალური სარგებელი

გ) თუ არსებობს მისი უფლებრივი სარგებელი ნებადართული სახსრების განკარგვის ...

დ) ა) და გ) პუნქტებით გათვალისწინებული პირობები

8. უცილოდ ბათილი გარიგებები:

ა) ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს

ბ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისი მხოლოდ მისი ერთი ნაწილია

გ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად

დ) ბათილია დადების მომენტიდანვე და გამიზნულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს

9. მერყევად ბათილი გარიგებები:

ა) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად

ბ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისი მხოლოდ მისი ერთი ნაწილია

გ) ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს

10. ნაწილობრივ ბათილი გარიგებები:

ა) ნამდვილია მთლიანობაში მაგრამ იურიდიული ძალა არ აქვს ამა თუ იმ პირის მიმართ

ბ) ნამდვილია მთლიანობაში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისია მისი ესა თუ ის ნაწილი

გ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ იურიდიულ ძალას კარგავს შეცილების მომენტიდან

დ) ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს

11. ნაღდი ფულის ბრუნვაში შემოტანის და ბრუნვიდან ამოღების განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის:

საქართველოს ეროვნულ ბანკს

12. ფასიან ქაღალდად ჩაითვლება დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ქონებრივ უფლებებს და

ა) რომელიც შეესაბამება დადებულ ფორმას

ბ) რომელიც მოცემულია ყველა აუცილებელი რეკვიზიტი

გ) რომელშიც მითითებული უფლებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მისი წარდგენის შემთხვევაში

დ) რომელსაც აქვს ა) და გ) პუნქტებში მითითებული ყველა თვისება

13. სამოქალაქო სამართლით რეგულირებული ურთიერთობები გამოირჩევა შემდეგი ნიშნებით:

ა) მოკლებულია ეკონომიკურ შინაარსს

ბ) ექვემდებარება ზუსტ შეფასებას

გ) მათი განხორციელება ყოველთვის სასყიდლიანია

დ) მათი განხორციელება შეესაბამება ქონებრივი ეკვივალენტს სხვა პირის მხრივ

14. ფიზიკური პირის არამატერიალური სიკეთე, რომელიც მას დაბადებიდან ან კანონის ძალით ეკუთვნის

ა) შეიძლება დაეთმოს სხვა პირს

ბ) განუსხვისებადია და არ გადაეცემა სხვა პირს

გ) შეიძლება გასხვისდეს და გაიყიდოს სხვა პირზე

დ) შეიძლება გაიცეს..

15. პირად უფლებებს, რომლებიც ფიზიკურ მთლიანობას უზრუნველყოფს, განეკუთვნება:

ა) უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, უფლება პატივსა და ღირსებაზე

ბ) უფლება სამედიცინო საიდუმლოებაზე, უფლება მიმოწერის საიდუმლოებაზე

გ) უფლება საქმიან რეპუტაციაზე, უფლება სატელეფონო საუბრების საიდუმლოებაზე

დ) უფლება სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, უფლება ჯანსაღ ეკოლოგიურ გარემოზე

16. პირად უფლებებს, რომლებიც პიროვნების ინდივიდუალიზაციას უზრუნველყოფს, განეკუთვნება:

ა) სახელის უფლება, უფლებები პატივზე, ღირსებაზე და საქმიან რეპუტაციაზე

17. პირად უფლებებს, რომლებიც პიროვნების ავტონომიას უზრუნველყოფს, განეკუთვნება:

ა) უფლებები საკუთარ გამოსახულებასა და სახელზე

ბ) უფლებები პატივსა და ღირსებაზე, საქმიან რეპუტაციაზე

გ) უფლებები სამედიცინო საიდუმლოებებზე, მიმოწერის საიდუმლოებებზე, სატელეფონო საუბრებსა და სატელეგრაფო შეტყობინებების საიდუმლოებებზე

დ) უფლებები სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ჯანსაღ გარემოზე

18. ფიზიკურ პირს,ვის მიმართაც გავრცელებულია მისი პატივის , ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები, უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) ჯარიმის გადახდა თავის სასარგებლოდ

ბ) ჯარიმის გადახდა და მორალური ზიანის ანაზღაურება

გ) მორალური ზიანის და მიყენებული ზარალის ანაზღაურება

დ) არა მხოლოდ ზარალის ანაზღაურება, არამედ ჯარიმის გადახდა მის სასარგებლოდ

19. საკუთარი სახელით სარგებლობის უფლებამოსილება ისაა, რომ ფიზიკურ პირს შეუძლია

ა) სახელის შეცვლისას მოითხოვოს ცვლილებების შეტანა დოკუმენტებში, რომლებიც სხვა სახელზეა გაფორმებული

ბ) შეცვალოს გვარი და სახელი

გ) ატაროს სახელი, რომელიც მის მიმართ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებშია დადასტურებული

დ) მოითხოვოს სხვა პირებისგან იგი იწოდებოდეს სათანადო სახელით

20. სახელის განკარგვის უფლება ვლინდება შესაძლებლობაში

ა) შეიცვალოს გვარი

ბ) იქონიოს განსაზღვრული სახელი, რომელიც სამოქალაქო აქტების ჩამწერ ორგანოშია დარეგისტრირებული

გ) დაფაროს საკუთარი სახელი და გამოვიდეს ფსევდონიმით კანონით დადგენილ შემთხვევაში

დ) მისცეს ნებართვა ისარგებლონ მისი სახელით სხვა პირებმა უსასყიდლოდ

კაზუსი II

ხეთაგურმა თავისი ველოსიპედი მიჰყიდა ერაძეს იმ პირობით, რომ იგი მყიდველს მის ტარებასაც ასწავლიდა.

როცა ერაძეს ველოსიპედი გადასცა, ხეთაგურმა დაწვრილებით აუხსნა ველოსიპედის ტარების და გაჩერების ხერხები, რის შემდეგაც ჩაუტარა პრაქტიკული მეცადინეობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერაძე უკან შემოისვა და ველოსიპედი ჯერ იმ ჩიხში გაატარა, სადაც თვითონ ცხოვრობდა , ხოლო შემდეგ ერაძე მარტო წავიდა . ერთი წუთიც არ გასულა, რომ ერაძე ბოძს შეეჯახა და ველოსიპედი გადაბრუნდა. მართალია, ერაძეს რაიმე დაზიანება არ მიუღია, მაგრამ ძალიან შეშინდა.

აღნიშნულის შემდეგ ერაძე უარს ამბობს ველოსიპედის ტარების სწავლის გაგრძელებაზე, რასაც იმით ამართლებს, რომ ძალიან ინერვიულია და, როგორც ჩანს, მოკლებულია ველოსიპედით სიარულის უნარს. შესაბამისად, ამბობს იგი, რომ პირობა, რომლის გათვალისწინებითაც მას მიეყიდა ველოსიპედი, განუხორციელებელია. ხეთაგური გვეკითხება, როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში?

1) ჩაითვლება თუ არა ერაძის შეცილება საფუძვლიანად სამოქალაქო კოდექსის მიხედვით?

სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს იმ კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც შეცილება ითვლება საფუძვლიანად ამა თუ იმ შემთხვევაში. სსკ-ის 72-ე მუხლის მიხედვით „გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე.“ შეცდომების სახეები კიდევ სსკ-ის 73-78 მუხლებშია განმტკიცებული. ასევე შეუძლია პირს მოითხოვოს გარიგების ბათილობა როდესაც გარიგება დადებულია მოტყუებით (სსკ-ის 81-83 მულები) ან იძულებით (სსკ-ის 85-88 მუხლები). მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის არც შეცდომა დადებულ გარიგებაში, არც იძულება და არც მოტყუება. ჩვენს კაზუსში გარიგება დაიდო ორ სუბიექტს შორის განსაზღვრული პირობის საფუძველზე. სსკ-ში პირობითი გარიგებების თავში 91-ე მუხლი განამტკიცებს პირობითი გარიგების ბათილობის შემთხვევას. „ბათილია პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარიგება, რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული, მთლიანად ბათილია.“ მოცემულ შემთხვევაში დადებული გარიგება არც კანონის მოთხოვნებს და არც ზნეობის ნორმებს არ ეწინააღმდეგება, ხოლო მისი შესრულება უპრობლემოდ არის შესაძლებელი ურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ (ჩვენს შემთხვევაში ხეთაგური). ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ერაძის შეცილება სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არ ჩაითვლება საფუძვლიანად.

2) როგორი პირობაა დადებული ერაძესა და ხეთაგურს შორის ხელშეკრულებაში „ველოსიპედის ტარების სწავლება“ - პირობა თუ წინაპირობა?

იმისათვის რომ გავარკვიოთ, ერაძესა და ხეთაგურს შორის დადებულ ხელშეკრულებაში „ველოსიპედის ტარების სწავლება“ პირობაა თუ წინაპირობა, პირველ რიგში, საჭიროა ამ ორი ცნების ერთმანეთისაგან განსხვავება შევძლოთ. უმთავრესი ნიშანი და საფუძველი, რომელიც ამ ორ ცნებას სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტებს უკავშირებს, მდგომარეობს იმაში, თუ ობიექტურად რამდენად უცნობი ან ცნობილია ამ მოვლენის დადგომა. როცა გარიგების ნამდვილობის წინაპირობა საფეხბურთო კლუბის მიერ ჩემპიონად გახდომაა, მართალია, ამ მოვლენის დადგომა ფეხმურთელების აქტიურობაზეცაა

დამოკიდებული, მაგრამ არავის არ შეუძლია იმის თქმა, რომ გუნდი უეჭველად გახდება ჩემპიონი. შესაბამისად ჩემპიონობა მოცემულ შემთხვევაში პირობას წარმოადგენს. რაც შეეხება ნახმარი ავტომანქანის საბურავების გამოცვლას, გამყიდველს ამის გაკეთება შეუძლია, წინაპირობის დადგომა პრაქტიკულად უდავოა, თუ გამყიდველს ეს სურს. ანუ ადგილი აქვს წინაპირობას. მოცემულ კაზუსშიც „ველოსიპედის ტარების სწავლება“ წინაპირობას წარმოადგენს, რომელიც ბუნდოვან და გაურკვეველ მოვლენაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ობიექტურად ნაცნობ მოვლენაზე, რომელიც წარმოადგენს გარიგების ელემენტს. ხეთაგურს უპრობლემოდ შეუძლია შეასწავლოს მყიდველს ველოსიპედის ტარება, ისევე როგორც გამყიდველს შეუძლია ავტომანქანის საბურავების გამოცვლა. თუ ჩავთვლით, რომ ტარების სწავლება არის პირობა, რომელიც კაზუსში შემდეგნაირადაა ფორმულირებული - „ხეთაგურმა თავისი ველოსიპედი მიჰყიდა ერაძეს იმ პირობით, რომ იგი მყიდველს მის ტარებასაც ასწავლიდა.“ მაშინ უნდა ვივარაუდოდ, რომ მათ დადეს ნებაზე დამოკიდებული გარიგება, რომლის შესრულება ან არშესრულება დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. სსკ-ის 92-ე მუხლის მიხედვით კი „ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილია.“ შესაბამისად, გარიგება დადებიდანვე ბათილია და ერაძეს სულაც არ აქვს ვალდებულება, გადაიხადოს ველოსიპედის საფასური. ხეთაგური კი ვერაფერს ვერ იზამს. მაგრამ მოცემულ კაზუსში სახეზე გვაქვს წინაპირობა.

3) არის თუ არა ხეთაგურსა და ერაძეს შორის დადებული ხელშეკრულება პირობითი გარიგება სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (მიუთითეთ შესაბამისი ნორმები) ?

სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის მიხედვით „პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა - ამ მოვლენის დადგომისთანავე.“ მოცემული კაზუსის თანახმად „ველოსიპედის ყიდვა მისი ტარების სწავლების პირობით“ არის არა გარიგების პირობა არამედ გარიგების დადების წინაპირობა. პირობით გარიგებად კვალიფიკაციისთვის მას სწორედ ის აკლია რომ ის არ წარმოადგენს ობიექტურად უცნობ მოვლენას, არამედ არის მხარეთა ნებაზე დამოკიდებული. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსზე დაყრდნობით, „ველოსიპედის ტარების სწავლება“ მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს არა პირობას, არამედ წინაპირობას, რომელიც ბუნდოვან და გაურკვეველ მოვლენაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ობიექტურად ნაცნობ

მოვლენაზე, რომელიც წარმოადგენს გარიგების ელემენტს. ხეთაგურს უპრობლემოდ შეუძლია შეასწავლოს მყიდველს ველოსიპედის ტარება და დათქმული წინაპირობა შეასრულოს.

III ბილეთი

1. საცილო გარიგებები

ა) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ მისი ესა თუ ის ნაწილი უვარგისია სამართლებრივად

ბ) ნამდვილია დადების მომენტში მაგრამ იურიდიული ძალა არ გააჩნია ამა თუ იმ პირის მიმართ

გ) ბათილია დადების მომენტში , მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს

დ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ შეცილების შედეგად ბათილია დადების მომენტიდან

2. გარიგებები იდება

ა) მხოლოდ სანოტარო ფორმით

ბ) მხოლოდ უბრალო წერილობითი ფორმით

გ) მხოლოდ ზეპირად, მაგრამ ორი მოწმის თანდასწრებით

დ) ზეპირად,წერილობითი ფორმით და ნების დუმილის გამოყენებით

3. გარიგება ჩაითვლება გადადების პირობით დადებულად, თუ მხარეებმა დაადგინეს

ა) უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით , რომლის შესახებ ცნობილი არ არის დადგება იგი თუ არა

ბ) უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა და შეწყვეტა , რაც განსაზღვრული პირობის დადგომაზეა დამოკიდებული

გ) უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა განსაზღვრული პირობის დადგომასთან დაკავშირებით

დ) უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტა, რაც დამოკიდებულია განსაზღვრული პირობების დადგომაზე

4. იძულებით დადებულია გარიგება, რომელიც მომდინარეობს

ა) გარიგების მონაწილისგან

ბ) ნებისმიერი პირისგან

გ) ნებისმიერი დაინტერესებული პირისგან

5. კაუზალური გარიგებაა

ა) სესხის ხელშეკრულება

ბ) კონოსამენტი

გ) თამასუქი

დ) ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი

6. აბსტრაქტულ გარიგებებს განეკუთვნება

ა) საკრედიტო ხელშეკრულება

ბ) თამასუქი

გ) საბანკო ანაბრის ხელშეკრულება

დ) საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება

7. გარიგება იურიდიული პირებისა, ურთიერთშორის და მოქალაქეებთან უნდა დაიდოს აუცილებლად

ა) ზეპირად

ბ) დუმილით

გ) უბრალოდ წერილობითი ფორმით

დ) ნებისმიერი ფორმით

8. გარიგება დადებული იმ განზრახვის გარეშე, რომ შესაბამისი სამართლებრივი შედეგები დადგეს, იწოდება :

ა) მოჩვენებითად

ბ) თვალთმაქცურად

გ) ფიქტიურად

დ) კაბალურად

9. გარიგება დადებული სხვა გარიგების დასაფარავად იწოდება

ა) თვალთმაქცურ გარიგებად

ბ) საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ მიმართულ გარიგებად

გ) ზნეობის საწინააღმდეგოდ მიმართულ გარიგებად

დ) მოჩვენებით გარიგებად

10. გარიგება დადებული იურიდიული პირის მიერ მისი საქმიანობის მიზნის საწინააღმდეგოდ შეიძლება ბათილად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარემ

ა) იცოდა გარიგების უკანონობის შესახებ

ბ) არ იცოდა გარიგების უკანონობის შესახებ

გ) არ შეიძლება სცოდნოდა გარიგების უკანონობის შესახებ

დ) თავს იჭერდა ისე, რომ გარიგების უკანონობის შესახებ არ იცოდა

11. სასამართლოს შეუძლია პირი აღიაროს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას

ა) 1 წლის განმავლობაში

ბ) 2 წლის განმავლობაში

გ) 5 წლის განმავლობაში

დ) 6 წლის განმავლობაში

12. შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები

ა) უცილოდ ბათილი გარიგებებია

ბ) მერყევად ბათილი გარიგებებია

გ) ნაწილობრივ ბათილი გარიგებებია

დ) საცილო გარიგებებია

13. შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები ბათილია როგორც

ა) კანონის, ზნეობის, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები

ბ) ფორმის დაუცველად დადებული გარიგებები

გ) ნების ნაკლის გამო დადებული გარიგებები

დ) ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგებები

14. შეცდომად ჩაითვლება

ა) შეცდომა გარიგების ტიპის არჩევასადა გარიგების შინაარსში

ბ) შეცდომა საგნის თვისებაში, შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში

გ) შეცდომა უფლებაში, შეცდომა მოტივში

დ) ა) , ბ) და გ) ერთად

15. მოტყუების საფუძველზე დადებული გარიგებების შეცილების ვადა შეადგენს

ა) 1 თვეს

ბ) 1 წელს

გ) 6 თვეს

დ) 3 წელს

16. შეცდომის საფუძველზე დადებული გარიგებების შეცილების ვადა შეადგენს

ა) 1 თვეს

ბ) ერთ წელს

გ) 6 თვეს

17. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება შეიძლება იყოს ნამდვილი თუ

ა) არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ გარიგების დადების ფაქტს

ბ) გარიგების ფასი არ აღემატება 1000 ლარს

გ) გარიგების საგანია მოძრავი ქონება

დ) ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ხარვეზი, რომელიც მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს

18. მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის დარღვევას გარიგების ბათილობა მოჰყვება, თუ მხარეებმა შეარჩიეს

ა) ნების გამოვლენის სერიოზულობის უზრუნველსაყოფად

ბ) გარიგებიდან გამომდინარე უფლებების ნათელსაყოფად

გ) გარიგების დადების მტკიცებულებად

დ) გარიგების ნამდვილობის წინაპირობად

19. ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებებად ჩაითვლება

ა) ხელშეკრულებები, რომლებითაც მეუღლეები თავს არიდებენ შვილების აღზრდის მოვალეობას

ბ) შეთანხმება, რომლითაც პირი თავის თავზე იღებს სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულს

გ) ხელშეკრულებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის სამართლებრივ მდგომარეობას

დ) მოსწავლის მიერ მასწავლებლისთვის საჩუქრის მიტანა

20. მოანდერძის ნების გამოვლენა, რომელიც აკმაყოფილებს ჩუქების მოთხოვნებს. მაგრამ არ აკმაყოფილებს ანდერძის მოთხოვნებს განმარტებული, როგორც უფლება, არის

ა) გარდაცვლილის ნების გამოვლენის დადასტურება

ბ) გარდაცვლილის ნების გამოვლენის პატივისცემა

გ) უფლებამონაცვლეობა

დ) გარიგების კონვერსია

კაზუსი III

13 წლის ბეთანელმა 17 წლის კაზაკოვასთან მოახდინა გაცვლა: მას გადასცა ახალი ველოსიპედი, სანაცვლოდ კი მიიღო ძველი რადიო. ბეთანელის მშობლებმა მიმართეს ადვოკატს, რათა ეს უკანასკნელი მათ დახმარებოდა ველოსიპედის დაბრუნებაში. ადვოკატმა მშობლებს აუხსნა, რომ ბებიამ ბეთანელს ველოსიპედი დაბადების დღის აღსანიშნავად აჩუქა და მას უფლება ჰქონდა, ნაჩუქარი ისე განეკარგა, როგორც სურდა. გარდა ამისა, ბეთანელმა დაკარგა რადიო, რომელიც მან კაზაკოვისგან მიიღო. სწორად გადაწყვიტა თუ არა დავა ადვოკატმა? შეიძლება თუ არა ბეთანელის მშობლებს ჰქონდეთ ველოსიპედის დაბრუნების მოთხოვნის უფლება და რის საფუძველზე? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

იმისათვის რომ გავარკვიოთ, სამართლიანად გადაწყვიტა თუ არა ადვოკატმა დავა, საჭიროა პირველ რიგში ვიცოდეთ შეეძლოთ თუ არა მოცემულ პირებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ყოფილიყვნენ. უნდა განვიხილოთ ის, თუ რამდენად იყვნენ ურთიერთობის მონაწილეები ქმედუნარიანი საკუთარი ინიციატივით დაედოთ გარიგება ყოველგვარი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაწვდის სსკ-ის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც „ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.“ მოცემულ კაზუსში გარიგების მონაწილეები არიან 13 წლის ბეთანელი და 17 წლის კაზაკოვა. ორივე მათგანი არასრულწლოვანია, შესაბამისად ისინი სამოქალაქო სამართლის მიხედვით ქმედუნარიან პირებად არ განიხილებიან. იმისათვის რომ გავარკვიოთ როგორი ტიპის ქმედუნარიანებად განიხილებიან კაზაკოვა და ბეთანელი, უნდა მოვიშველიოთ სსკ-ის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც გვეუბნება, რომ „არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.“ მოცემული მუხლიდან გამომდინარე ორივე მათგანი განიხილება შეზღუდულ ქმედუნარიანად. რაც შეეხება მათ უფლებამოსილებას, თუ როდის და როგორ ახორციელებენ საკუთარ უფლებებსა და

მოვალეობებს და როდის მონაწილეობენ გარიგებებში ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის სსკ-ის მე-15 მუხლი და 63-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. „შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს.“ ჩვენს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გაცვლას, რის შედეგადაც ურთიერთობის მონაწილე არც ერთი პირი არც მოგებული და არც წაგებული არ გამოსულა გარიგების შედეგად. ორივე მათგანმა მიიღო მისთვის კუთვნილი წილი. გარიგების მეშვეობით კიდევ, მათ შეიძინეს როგორც უფლებები, ასევე მოვალეობები. სამოქალაქო კოდექსი კიდევ კრძალავს არასრულწლოვნის მიერ ისეთი გარიგების წარმართვას წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, რომლის შედეგადაც მას მოვალეობები წარმოეშვება და შესაძლებელია მისი ქონებრივი მდგომარეობა გაუარესდეს. იმისთვის რომ გავარკვიოთ, იყო თუ არა არასრულწლოვნებს შორის დადებული ხელშეკრულება ნამდვილი უნდა გამოვიყენოთ სსკ-ის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმადაც „ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან - ამ წარმომადგენლების თანხმობით - მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.“ კაზაკოვა და ბეთანელი მუხლში ჩამოთვლილ არცერთ ელემენტს არ აკმაყოფილებენ იმისათვის, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს. შესაბამისად, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, კაზაკოვასა და ბეთანელის მიერ დადებული გაცვლის გარიგება არ არის ნამდვილი, რადგან ის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე იქნა დადებული არასრულწლოვნის მიერ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაზაკოვა და ბეთანელმა, რომლებიც არასრულწლოვნები არიან, შესაბამისად, შეზღუდული ქმედუნარიანები, დადეს გაცვლითი გარიგება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. იმისათვის, რომ გავარკვიოთ არსებობს თუ არა მათ მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლები, უნდა გავარკვიოთ, თუ რა შემთხვევაში ითვლება სსკ-ის მიხედვით არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგება ბათილად. სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით „ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.“ ბათილობის შესახებ ცნობებს გვაწვდის სსკ-ის 66-ე მუხლიც „ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი

თანხმობის გარეშე. ბათილია ასეთი გარიგება მაშინაც, როცა არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც გარიგების მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა მასზე უარი. ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ.“ სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი „ბათილია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა.“ ნების გამოვლენა კიდევ, გარიგების დადების წინაპირობაა. მოცემული მუხლებიდან გამომდინარე, კაზაკოვასა და ბეთანელის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის საკმარისი საფუძველი არსებობს. აქედან გამომდინარე კი, ბეთანელის მშობლებს სრული საფუძველი აქვთ იმისა, რომ ბათილი გარიგებიდან გამომდინარე მოითხოვონ ველოსიპედის უკან დაბრუნება. როგორც ვიცით, გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში გარიგებამდე არსებული მდგომარეობა უნდა აღდგეს. ის ფაქტი კი, რომ ბეთანელმა დაკარგა რადიო არ ცვლის სიტუაციას და მხარეებს მაინც ეკისრებათ გაცვლილი ნივთების უკან დაბრუნება. ბეთანელი კიდევ, იმის გამო, რომ მან რადიო დაკარგა, რადიოს ნაცვლად თანხით აუნაზღაურებს კაზაკოვას დაკარგულ ნივთს. სსკ-ის 409-ე მუხლის მიხედვით „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.“

IV ბილეთი

1. ჩვეულებრივ, თარჯიმნები

ა) არიან წარმომადგენლები

ბ) არ არიან წარმომადგენლები

გ) მოიაზრება იურიდიულ პირებად

დ) ა) და გ) პუნქტები

2. წარმომადგენლად არ ითვლება

ა) შიკრიკი, ვინაიდან მას ევალება მხარის ნების გადაცემა საკუთარი ნების გამოუხატველად

ბ) მშობლები,მეურვეები

გ) მზრუნველები

დ) ადვოკატები

3. პირს, რომელიც დებს გარიგებას სხვა პირის სახელით, უფლებამოსილების ძალით, რომელიც ეძლევა უფლებამოსილ პირს კონკრეტული სახელმწიფო ორგანოსგან ,ჰქვია

ა) კომერციული წარმომადგენელი

ბ) საკონკურსო მმართველი

გ) წარმომადგენელი

დ)

4. გარიგება, რომელიც იდება უფლებამოსილების არარსებობისას, ან მისი გადამეტებისას, ითვლება

ა) ამ პირის სასარგებლოდ დადებულად, თუ წარმომადგენელი პირი არ მოიწონებს მას

ბ) წარმომადგენლის ინტერესების სასარგებლოდ

გ) უფლებამოსილების გადამეტების... ბათილად

დ) ბათილად

5. მოანდერძის ნების გამოვლენა, რომელიც აკმაყოფილებს ჩუქების მოთხოვნებს. მაგრამ არ აკმაყოფილებს ანდერძის მოთხოვნებს განმარტებული, როგორც უფლება, არის

ა) გარდაცვლილის ნების გამოვლენის დადასტურება

ბ) გარდაცვლილის ნების გამოვლენის პატივისცემა

გ) უფლებამონაცვლეობა

დ) გარიგების კონვერსია

6. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებიდან გამომდინარე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება გაჩნდეს

ა) არაუმეტეს 1 წლის ვადით

ბ) 3 წლადე ვადით

გ) განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადით

დ) უფლებამოსილი პირის მიერ მის გაუქმებამდე

7. წარმოდგენილი პირის სახელით შეუძლია თუ არა წარმომადგენელს ...საკუთარ თავთან გარიგების დადება

ა) შეუძლია თუ შემდეგში აცნობებს წარმომადგენელს

ბ) შეუძლია მხოლოდ წარმოდგენილის თანხმობით

გ) არ შეუძლია

დ) შეუძლია ყოველთვის

8. წარმოდგენილი პირის სახელით წარმომადგენელს შეუძლია პირადად ,როგორც მესამე პირს,წარმომადგენელს გარიგების დადება

ა) არ შეუძლია

ბ) შეუძლია, თუ შემდგომში აცნობებს წარმოდგენილ პირს

გ) შეუძლია მხოლოდ წარმოდგენილი პირის თანხმობით

დ) შეუძლია ყოველთვის

9. ...ში მოიაზრება

ა) კონკრეტული პირისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება, რომლის გარეგნულ ფორმას წარმოადგენს მინდობილობა

ბ) კონკრეტული პირისთვის...

გ) კანონისმიერი წარმომადგენლობა

10. გარიგება იძულებით დადებულად ითვლება, თუ ნების გამომვლენ პირზე ზემოქმედება ხორციელდება

ა) ფიზიკურად ან მუქარით

ბ) სასამართლოში მიმართვის მუქარით

გ) მართლსაწინააღმდეგო მიზნით და მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით

დ) ა) და გ) პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში

11. იძულებით დადებულია გარიგება, რომელიც მომდინარეობს

ა) გარიგების მონაწილისგან

ბ) ნებისმიერი პირისგან

გ) ნებისმიერი დაინტერესებული პირისგან

12. ფარდობითად ბათილია გარიგებები, რომლებიც

ა) მთლიანობაში ნამდვილია, მხოლოდ მისი ესა თუ ის ნაწილია ბათილი

ბ) მთლიანობაში ბათილია, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს მას

გ) მთლიანობაში ნამდვილია, მაგრამ ბათილია ამა თუ იმ პირის ან პირთა წრის მიმართ

დ) დადების მომენტში ნამდვილია, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად

13. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება

ა) დაუძლეველი ძალის დროს

ბ) მორატორიუმი

გ) თუ მოვალე ან კრედიტორი იმყოფება შეიარაღებულ ძალებში, რომლებიც საომარ მდგომარეობაშია გადაყვანილი

დ) ა) ბ) და გ) პუნქტებში დასახელებული გარემოებების არსებობისას

14. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველია

ა) მოთხოვნის არსებობის აღიარება გარანტიის მიხედვით

ბ) მეუღლეებს შორის ქორწინების განმავლობაში

გ) მორატორიუმი

დ) ურთიერთობაში ქმედუუნარო პირის მონაწილეობა

15. უცილოდ ბათილი გარიგებები

ა) ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს

ბ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისი მხოლოდ მისი ერთი ნაწილია

გ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად

დ) ბათილია დადების მომენტიდანვე და გამიზნულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს

16. მერყევად ბათილი გარიგებები

ა) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად

ბ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისი მხოლოდ მისი ერთი ნაწილია

გ) ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს

17. შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები

ა) უცილოდ ბათილი გარიგებებია

ბ) მერყევად ბათილი გარიგებებია

გ) ნაწილობრივ ბათილი გარიგებებია

დ) საცილო გარიგებებია

18. შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები ბათილია როგორც

ა) კანონის, ზნეობის, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები

ბ) ფორმის დაუცველად დადებული გარიგებები

გ) ნების ნაკლის გამო დადებული გარიგებები

დ) ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგებები

19. გარიგება დადებული იმ განზრახვის გარეშე, რომ შესაბამისი სამართლებრივი შედეგები დადგეს, იწოდება

ა) მოჩვენებითად

ბ) თვალთმაქცურად

გ) ფიქტიურად

დ) კაბალურად

20. გარიგება დადებული სხვა გარიგების დასაფარავად იწოდება

ა) თვალთმაქცურ გარიგებად

ბ) საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ მიმართულ გარიგებად

გ) ზნეობის საწინააღმდეგოდ მიმართულ გარიგებად

დ) მოჩვენებით გარიგებად

კაზუსი IV

კუპრავამ ფიზიკური ნაკლის - უსინათლობის გამო მეზობელ კოპაძეს სთხოვა მისი-კუპრავას სახელით მოეწერა ხელი ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად, იგი გიორგაძისგან სესხად იღებდა ათას ლარს . დათქმული ვადის გასვლის შემდეგ გიორგაძემ მოითხოვა გაცემული თანხის უკან დაბრუნება. კუპრავამ უსახსრობის გამო თანხის დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

სასამართლო სხდომაზე გაირკვა, რომ კოპაძის ხელმოწერა ვინმეს მიერ დადასტურებული არ ყოფილა , ხოლო კოპაძე საერთოდ წასულა ქალაქიდან მეზობლებისთვის გაურკვეველი მისამართით. გარიგების ფორმის ბუნდოვანების მიზეზით კუპრავამ სარჩელი უარყო, თუმცა დაადასტურა, რომ ფული მიიღო და გიორგაძეს მის უკან დაბრუნებას შეჰპირდა. რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს

სასამართლომ? საფუძვლიანია თუ არა კუპრავას შეცილება, როდესაც იგი უარყოფს სარჩელს გარიგების ბუნდოვანების გამო? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი

გიორგაძეს შეიძლება ჰქონდეს კუპრავასგან 1000 ლარის მოთხოვნის უფლება სსკ-ს 623-ე მუხლის მიხედვით. „სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.“ მოთხოვნის წარმოშობისათვის უნდა გავარკვიოთ ნამდვილია თუ არა ხელშეკრულება, სახეზე ხომ არ არის ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებები, ანუ ბათილობის საფუძვლები სკკ-ის 53-59 მუხლების სახით.

კაზუსიდან ირკვევა, რომ მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების არსებით პირობებზე სკკ-ის 327-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მიხედვით. „1. ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.“ „2. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.“ შესაბამისად, სახეზე არ არის ბათილობის საფუძვლები. ესეიგი, ხელშეკრულება დაიდო, რომელიც ნამდვილია და სსკ-ის 361-ე მუხლის მიხედვით უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

კაზუსიდან ირკვევა, რომ ხელშეკრულება დადებულია წარმომადგენლობითი გარიგებით, სსკ-ის 103-ე მუხლის თანახმად. „გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.“ ახლა უნდა გავარკვიოთ, წარმომადგენლობითი გარიგება არის თუ არა ნამდვილი, ანუ ნამდვილად არის თუ არა წარმომადგენლობა სახეზე. ამისათვის უნდა განვმარტოთ სსკ-ს 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. „იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს.“ გარდა ამისა გასათვალისწინებელია სსკ-ის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, რომლის მიხედვითაც: „თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა.“ თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლების არ არსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ (ჩვენს შემთხვევაში კუპრავამ), თუკი წარმომადგენილმა (ანუ კოპაძემ) ისეთი გარემომებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს (ანუ გიორგაძეს) კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა. აუცილებლად უნდა შევეხოთ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილსაც. ანუ გარიგების დადებისას თუ წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობაზე, მაშინ

გარიგება წარმოშბს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირის მიმართ (ანუ ჩვენს შემთხვევაში, კუპრავას მიმართ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მე-2 მხარეს (ანუ გიორგაძეს) უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. იგივე წესი იმოქმედებს მაშინაც, როცა მე-2 მხარისათვის სულ ერთია, ვისთან დადებს გარგებას.

აუცილებლად უნდა შევეხოთ უფლებამოსილების ფარგლებსაც, რომელიც სსკ-ის 107-ე მუხლის 1-ლ ნაწილშია წარმოდგენილი. „უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა.“ ჩვენი კაზუსიდან ჩანს, რომ კუპრავამ კოპაძეს გადასცა ხელმოწერის უფლებამოსილება.

სპეციალური წესები მოქმედებს წარმომადგენლის მიერ ხელმოწერის შემთხვევაში. როგორც წესი, მან ხელი უნდა მოაწეროს თავისი სახელით, ანუ გამოიყენოს თავისი ხელმოწერა. ამასთან, მისი სხვისი სახელით მოქმედების შეცნობადობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტის შინაარსით ან ხელმოწერის ადგილას გაკეთებული აღნიშვნით. ხელმოწერისას სხვა პირის დახმარების გამოყენების პირობები განისაზღვრება სსკ-ს 70-ე მუხლში. „წერა-კითხვის უცოდინრობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო“ დასაშვებია ინდივიდმა „ხელის მოწერა სხვას მიანდოს.“ ამ დროს აუცილებელ წინაპირობად მიჩნეულია „ოფიციალური დამოწმება და მიზეზის აღნიშვნა“-რაც ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის და კოპაძე ყოველგვარი ამ მოქმედებების გარეშე აწერს ხელს კუპრავას ნაცვლად. არ გვაქვს არც ოფიციალური დამოწმება და არც მიზეზი, რის გამოც კუპრავამ ვერ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. შესაბამისად, კუპრავას აქვს შეცილების უფლება. თუმცა, იგი ეცილება ბუნდოვანების გამო. ამის გამო კი შეცილება შეიძლება მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს სსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა. „გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი.“ ამ ხელშეკრულებაში კი შინაარსი კარგად ჩანს. კუპრავას შეეძლო შეცილება იმის გამო, რომ დარღვეულია აუცილებელი ფორმა. თუმცა, მან დაადასტურა, რომ ფული მიიღო და დაბრუნებასაც დაპირდა, ანუ მან, როგორც შეცილების უფლების მქონე სუბიექტმა, დაკარგა შეცილების უფლება და დაადასტურა გარიგება (სსკ-ის 61-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.) „2. თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება.“ „3. თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას.“ შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს შემდეგნაირი: რადგან კუპრავამ დაადასტურა გარიგება, მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადებად. შესაბამისად მას უჩნდება ვალდებულება, რომ უკან დაუბრუნოს თანხა გიორგაძეს. თუმცა, ვადის ათვლა იწყება თავიდან.

V ბილეთი

1. თუ არაუფლებამოსილმა პირმა განკარგა საგანი, ამ შემთხვევაში გარიგება

ა) გარიგება ნამდვილია

ბ) გარიგება ნამდვილია, თუ ის განხორციელდა უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით

გ) ნაწილობრივ ბათილია

დ) ბათილია

2. შეიძლება არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის განკარგვისას გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს?

ა) გარიგება ნამდვილია ყოველგვარი პირობების გარეშე

ბ) დიახ, გარიგება ნამდვილია, თუ მას უფლებამოსილი პირი მოიწონებს

გ) არა, ამ შემთხვევაში გარიგება ნაწილობრივ ბათილია

დ) არა, ამ შემთხვევაში გარიგება ბათილია

3. შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები

ა) უცილოდ ბათილი გარიგებებია

ბ) მერყევად ბათილი გარიგებებია

გ) ნაწილობრივ ბათილი გარიგებებია

დ) საცილო გარიგებებია

4. შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები ბათილია როგორც

ა) კანონის, ზნეობის, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები

ბ) ფორმის დაუცველად დადებული გარიგებები

გ) ნების ნაკლის გამო დადებული გარიგებები

დ) ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგებები

5. შეცდომად ჩაითვლება

ა) შეცდომა გარიგების ტიპის არჩევასადა გარიგების შინაარსში

ბ) შეცდომა საგნის თვისებაში, შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში

გ) შეცდომა უფლებაში, შეცდომა მოტივში

დ) ა) , ბ) და გ) ერთად

6. მოტყუების საფუძველზე დადებული გარიგებების შეცილების ვადა შეადგენს

ა) 1 თვეს

ბ) 1 წელს

გ) 6 თვეს

დ) 3 წელს

7. შეცდომის საფუძველზე დადებული გარიგებების შეცილების ვადა შეადგენს

ა) 1 თვეს

ბ) ერთ წელს

გ) 6 თვეს

8. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება შეიძლება იყოს ნამდვილი თუ

ა) არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ გარიგების დადების ფაქტს

ბ) გარიგების ფასი არ აღემატება 1000 ლარს

გ) გარიგების საგანია მოძრავი ქონება

დ) ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ხარვეზი, რომელიც მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს

9. უცილოდ ბათილი გარიგებები

ა) ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს

ბ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისი მხოლოდ მისი ერთი ნაწილია

გ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად

დ) ბათილია დადების მომენტიდანვე და გამიზნულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს

10. მერყევად ბათილი გარიგებები

ა) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ ძალას კარგავს შეცილების შედეგად

ბ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისი მხოლოდ მისი ერთი ნაწილია

გ) ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მოიწონებს

11. ნაწილობრივ ბათილი გარიგებები

ა) ნამდვილია მთლიანობაში მაგრამ იურიდიული ძალა არ აქვს ამა თუ იმ პირის მიმართ

ბ) ნამდვილია მთლიანობაში, მაგრამ სამართლებრივად უვარგისია მისი ესა თუ ის ნაწილი

გ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ იურიდიულ ძალას კარგავს შეცილების მომენტიდან

დ) ბათილია დადების მომენტში, მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს

12. საცილო გარიგებები

ა) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ მისი ესა თუ ის ნაწილი უვარგისია სამართლებრივად

ბ) ნამდვილია დადების მომენტში მაგრამ იურიდიული ძალა არ გააჩნია ამა თუ იმ პირის მიმართ

გ) ბათილია დადების მომენტში , მაგრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს

დ) ნამდვილია დადების მომენტში, მაგრამ შეცილების შედეგად ბათილია დადების მომენტიდან

13. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე ან უფლებამოსილების გადამეტებისას გარიგება ჩაითვლება

ა) ნამდვილ გარიგებად, თუ წარმოდგენილი პირი შედგომაში მოიწონებს მას

ბ) ბათილ გარიგებად უფლებამოსილების გადამეტების ნაწილში

გ) ნამდვილ გარიგებად

დ) ბათილ გარიგებად

14. მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის დარღვევას გარიგების ბათილობა მოჰყვება, თუ მხარეებმა ფორმა შეადგინეს

ა) ნების გამოვლენის სერიოზულობის უზრუნველსაყოფად

ბ) გარიგებიდან გამომდინარე უფლებების ნათელსაყოფად

გ) გარიგების დადეის მტკიცებულებად

დ) გარიგების ნამდვილობის წინაპირობად

15. ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებებად ჩაითვლება

ა) ხელშეკრულებები, რომლებითაც მეუღლეები თავს არიდებენ შვილების აღზრდის მოვალეობას

ბ) შეთანხმება, რომლითაც პირი თავის თავზე იღებს სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულს

გ) ხელშეკრულებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის სამართლებრივ მდგომარეობას

დ) მოსწავლის მიერ მასწავლებლისთვის საჩუქრის მიტანა

16. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებიდან გამომდინარე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება გაჩნდეს

ა) არაუმეტეს 1 წლის ვადით

ბ) 3 წლადე ვადით

გ) განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადით

დ) უფლებამოსილი პირის მიერ მის გაუქმებამდე

17. თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით და ნება გამოვლინდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე , მაგრამ წარმოდგენილი პირის აშკარა ძალისხმევით მესამე პირის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის შესახებ გარიგების სამართლებრივი შედეგები უნდა იკისროს

ა) ნების უშუალო გამომვლენმა ანუ წარმომადგენელმა

ბ) მესამე პირმა

გ) წარმოდგენილმა პირმა

დ) როგორც წარმომადგენელმა, ისე წარმოდგენილმა პირმა

18. გარიგება იძულებით დადებულად ითვლება, თუ ნების გამომვლენ პირზე ზემოქმედება ხორციელდება

ა) ფიზიკურად ან მუქარით

ბ) სასამართლოში მიმართვის მუქარით

გ) მართლსაწინააღმდეგო მიზნით და მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით

დ) ა) და გ) პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში

19. მოანდერძის ნების გამოვლენა, რომელიც აკმაყოფილებს ჩუქების მოთხოვნებს. მაგრამ არ აკმაყოფილებს ანდერძის მოთხოვნებს განმარტებული, როგორც უფლება, არის

ა) გარდაცვლილის ნების გამოვლენის დადასტურება

ბ) გარდაცვლილის ნების გამოვლენის პატივისცემა

გ) უფლებამონაცვლეობა

დ) გარიგების კონვერსია

20. არასრულწლოვნის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგება

ა) მერყევად ბათილია

ბ) ნაწილობრივ ბათილია

გ) შეფარდებით ბათილია

დ) ბათილია

კაზუსი V

საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებით გამგზავრების წინ ჭარბაძემ სთხოვა თავის კოლეგას და ახლობელს მეშველიას შეეძინა მისთვის-ჭარბაძისთვის პატარა აგარაკი. მომავალი მივლინების დასადასტურებლად ჭარბაძემ მეშველიას გადასცა მოწვევის ბარათი საერთაშორისო ბარათი საერთაშორისო ორგანიზაციიდან. მეშველიამ ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ შეძლო ჭარბაძისათვის აგარაკის მოძებნა და გადაწყვიტა იგი შეეძინა კიდეც. როცა აგარაკის გამყიდველმა და მეშველიამ აგარაკის (მიწის ნაკვეთის და სახლის) ნასყიდობის ხელშეკრულების დასამოწმებლად სანოტარო ბიუროს მიმართეს ნოტარიუსის თანაშემწემ მეშველიას მოსთხოვა აღნიშნული გარიგების შესრულების უფლებაზე მინდობილობის წარმოდგენა. იმის გამო, რომ მეშველიას ასეთი დოკუმენთი არ გააჩნდა, მას უარი უთხრეს ჭარბაძის სახელზე აგარაკის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე.

1) რა არის წარმომადგენლობა

ადამიანები ხშირად სხვისი სახელით გამოდიან ურთიერთობებში, იძენენ უფლებებს, კისრულობენ ვალდებულებებს და ა.შ. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ერთ შემთხვევაში ურთიერთობის მონაწილე არის თოთო ბავშვი, რომელსაც თავისი მოქმედებით ჯერ კიდევ არ შეუძლია არაფრის გაკეთება. ამიტომ მისი სახელით ურთიერთობა უნდა დაამყაროს ბავშვის მშობელმა. სხვა შემთხვევაში სულით ავადმყოფობა ან ჭკუასუსტობა ხდება ქმედუუნარობის საფუძველი და ამ ურთიერთობებშიც ვხვდებით პირებს, რომლებიც ქმედუუნაროთა სახელით დებენ გარიგებებს. ცხოვრებაში ანალოგიური ურთიერთობა უამრავია სადაც ჩვენ კონტინენტური ევროპის ერთ-ერთი ფუძემდებლურ ინსტიტუტს-

წარმომადგენლობას ვიყენებთ. იგი ასახავს ისეთ ვითარებას, როცა პირი საკუთარი სახელით კი არა, არამედ სხვისი სახელითა და სხვისივე ინტერესებისათის დებს გარიგებას. სხვისი სახელით მოქმედ პირს ეწოდება წარმომადგენელი, ხოლო მის უფლებამოსილებას, წარმოადგინოს სხვა პირი-წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები, განამტკიცებს იმის შესაძლებლობას, რომ გარიგება წარმომადგენლის მეშვეობითაც დაიდოს. სსკ-ის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. „გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.“ სამოქალაქო სამართლის თეორიაში დღეს აღიარებულია შეხედულება, რომ გარიგება ხორციელდება წარმომადგენლის პიროვნებაში, ხოლო შედეგები კი - წარმომადგენილი პირის მიმართ დგება. სამოქალაქო სამართლის თეორიაში დღეს აღიარებულია შეხედულება, რომ წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგებების შედეგები წარმოდგენილ პირს ეხება, რომელიც ემყარება მოქმედი პირების ნებას და კანონს, რომელიც აღიარებს ამ პირთა ნებას.

2) ჰქონდა თუ არა მეშველიას წარმომადგენლობის უფლებამოსილება

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა წარმომადგენლობის ნამდვილობის აუცილებელი წინაპირობაა. ეს უფლებამოსილება ან კანონის საფუძველზე წარმოიშვება, როგორც, მაგალითად, მშობლების წარმომადგენლობა არასრულწლოვანი შვილების მიმართ, ან გარიგებიდან. სსკ-ის 103-ე მუხლის პირველი ნაწილი. „გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.“ წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის წარმოშობილი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს გარიგება- მინდობილობის გაცემა. მინდობილობა ის გარეგნული ფორმა, რომელშიც გამოიხატება კონკრეტული პირისთვის, წარმომადგენლობის უფლებამოსილების - რწმუნებულების მინიჭება. ვინაიდან კანონი რაიმე სპეციალურ ფორმას მინდობილობისთვის არ ითვალისწინებს, იგი შეიძლება გაიცეს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დახასიათებისას აუცილებელია შიდა და გარე ურთიერთობების გამიჯვნა. გარე ურთიერთობა წარმოიშობა წარმომადგენელსა და მესამე პირს შორის, რომელთანაც იდება წარმოდგენილი პირის სახელით ხელშეკრულება. შიდა ურთიერთობა არსებობს წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის. ეს ურთიერთობა შეიძლება სხვადასხვა გარიგების ფორმით არსებობდეს. უშუალოდ წარმომადგენლობის უფლებამოსილების ქვეშ იგულისხმება პირის უფლებამოსილება წარმოადგინოს სხვა პირი. ხოლო ,,წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიცემა ხდება

რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა''. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 107) მოცემულ შემთხვევაში მეშველიას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ზეპირი თხოვნის საფუძველზე წარმოეშვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე: ,,ნების გამოვლენას არ სჭირდება ის ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადებად, რომლისთვისაც გაცემულია უფლებამოსილება.'' მართალია უფლებამოსილება გაცემულია უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად, რომელსაც სჭირდება წერილობითი ფორმა, თუმცა როგორც უკვე ითქვა ნების გამოვლენა არ საჭიროებს იმავე ფორმას. აქედან გამომდინარე, მეშველიას ზეპირი თხოვნის საფუძველზე მართლაც წარმოეშვა უფლებამოსილება. რაც შეეხება ნოტარიუსის თანაშემწის პასუხს, ის არ შეესაბამება კანონს, რადგან ზემოხსენებულიდან გამომდინარე (სსკ-ის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მეშველიას მართლაც ჰქონდა წარმომადგენლის უფლებამოსილება და ის არ საჭიროებდა წერილობით მინდობილობას.

By Achi Javakhishvili

Good luck!